

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო
წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	12
4. ფინანსური რისკების მართვა	13
5. საპროცენტო შემოსავალი	19
6. საპროცენტო ხარჯი	19
7. სხვა შემოსავალი	19
8. პერსონალის ხარჯები	20
9. სხვა ხარჯები	20
10. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	20
11. მოგების გადასახადი	21
12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	23
13. გაცემული სესხები	23
14. სხვა აქტივები	29
15. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	29
16. საწესდებო კაპიტალი	29
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	29
18. მიღებული სესხები	30
19. სხვა ვალდებულებები	31
20. საგადასახადო ვალდებულება	31
21. დაკავშირებული მხარეები	32
22. პირობითი ვალდებულებები	33
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33
24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	34

მმართველობის ანგარიშგება	44
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

7 აგვისტო 2019



შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	5	2,442,011	1,891,032
საპროცენტო ხარჯი	6	(1,141,235)	(980,982)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,300,776	910,050
სესხების გაუფასურების ანარიცხი	13	(176,927)	(55,546)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების შემდეგ		1,123,849	854,504
სხვა შემოსავალი	7	1,185,390	872,216
პერსონალის ხარჯები	8	(800,570)	(536,958)
ცვეთა და ამორტიზაცია	12	(112,865)	(102,215)
სხვა ხარჯები	9	(571,982)	(391,255)
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით	15	(82,373)	5,037
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) მოგება დაბეგვრამდე	10	(95,229)	172,454
		646,220	873,783
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(72,981)	(155,234)
წლის სრული შემოსავალი		573,239	718,549

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 7 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი გუგუშერიძე

მთავარი ბუღალტერი



მარიანა მხითარაიანი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	12	1,413,047	1,445,100
გადავადებული საგადასახადო აქტივი	11	62,307	-
გაცემული სესხები	13	10,911,559	8,356,910
სხვა აქტივები	14	49,826	44,476
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	15	-	5,037
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	2,759,447	2,181,322
სულ აქტივები		15,196,186	12,032,845
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	500,000	251,083
გაუნაწილებელი მოგება		3,783,288	3,560,613
		4,283,288	3,811,696
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18	10,817,103	8,009,382
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	15	24,908	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	-	6,482
სხვა ვალდებულებები	19	26,069	49,786
საგადასახადო ვალდებულება	20	44,818	155,499
		10,912,898	8,221,149
		15,196,186	12,032,845

10 - 44 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	251,083	3,072,801	3,323,884
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	718,549	718,549
გამოცხადებული დივიდენდი	-	(230,737)	(230,737)
31 დეკემბერი 2017	251,083	3,560,613	3,811,696
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში - ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ (15% გადასახადის განაკვეთის გამოკლებით)	-	(88,546)	(88,546)
2018 წლის 1 იანვარი, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შემდეგ	251,083	3,472,067	3,723,150
კაპიტალის ზრდა	248,917	-	248,917
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	573,239	573,239
გამოცხადებული დივიდენდი	-	(262,018)	(262,018)
31 დეკემბერი 2018	500,000	3,783,288	4,283,288

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		646,220	873,783
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ანარიცხი	13	176,927	55,546
ცვეთა და ამორტიზაცია	12	112,865	102,215
საპროცენტო ხარჯები	6	1,141,235	980,982
საპროცენტო შემოსავალი	5	(2,442,011)	(1,891,032)
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით	15	82,373	(5,037)
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული მოგება/(ზარალი)	10	95,229	(172,454)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(187,162)	(55,997)
გაცემული სესხების ზრდა		(2,519,791)	(1,206,669)
სხვა აქტივების ზრდა		(5,350)	(8,863)
საგადასახადო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(43,019)	34,398
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(2,755,322)	(1,237,131)
მიღებული პროცენტი		2,185,296	2,109,360
გადახდილი პროცენტი	18	(1,121,069)	(877,678)
გადახდილი დივიდენდი		-	(230,737)
გადახდილი მოგების გადასახადი		(230,624)	(25,645)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,921,719)	(261,831)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(80,812)	(120,064)
სოპ კონტრაქტებზე გადახდილი თანხები		(52,427)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(133,239)	(120,064)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	18	(4,669,410)	(6,462,034)
სესხების მიღება	18	7,297,583	8,100,307
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		2,628,173	1,638,273
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		573,215	1,256,378
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	2,181,322	888,668
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	10	4,910	36,276
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	2,759,447	2,181,322

10 - 44 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 21 ოქტომბერს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2011 წლის 20 დეკემბერს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის უძრავი-მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მიკრო სესხების გაცემა.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი გუგუშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გამსახურდიას გამზირი 3.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების და შეფასების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის - 2018 წლის 31 დეკემბერი.

კომპანია არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები ან შესწორებები, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა, არის:

- ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“;
- ფასს 15 – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“;

ზემოხსენებული ცვლილებებიდან კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასს 9-ის დანერგვამ. ფასს 9-ის მიღებით გამოწვეული ცვლილებები აისახა 2018 წლის 1 იანვარს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

დეტალური ინფორმაცია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტის შესახებ, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის მოცემულია მე-13 განმარტებით შენიშვნაში.

ფასს 15-ს, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაბამისად კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების რაიმე სახის კორექტირება.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ფინანსურ და საოპერაციო იჯარას, სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც მსგავსია ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპისა.

იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგალითად, საოფისე კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი) და მოკლევადიანი იჯარები (იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სესხების და მოთხოვნების გაუფასურება - კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარეცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. ინფორმაცია გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-13 განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი - კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები - ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

სასამართლო დავები - კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარეცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარეცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება. ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორცაა გაცემული სესხები, ფული და ფულის ეკვივალენტები, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური აქტივები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	10,911,559	8,356,910
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,759,447	2,181,322
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	5,037
სხვა ფინანსური აქტივები	28,774	18,353
	13,699,780	10,561,622
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	10,817,103	8,009,382
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	24,908	-
სხვა ვალდებულებები	26,069	49,786
	10,868,080	8,059,168

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

ა). რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს/ვალდებულებებს, რომელთა დაკავშირებით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს რეალური ღირებულებით წარდგენას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით შემდეგია:

	31.12.2018			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	24,908	-	24,908

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით შემდეგია:

	31.12.2017			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	5,037	-	5,037

ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგია და მონაცემები მე-2 დონის იერარქიისთვის მოიცავს შემდეგს:

შეფასების მეთოდოლოგია: ფორვარდული ფასის გამოყენებით მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება;

შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემები: სახელმწიფო ობლიგაციების ურისკო საპროცენტო განაკვეთი, ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ბ). ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით და რომელთა დაკავშირებითაც მოითხოვება რეალური ღირებულების წარდგენა

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - გაცემული სესხები, სხვა ფინანსური აქტივები, სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებად კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ეროვნული ბანკი ადგენს კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. კომპანია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი არ უნდა იყოს 500,000 ლარზე და 250,000 ლარზე ნაკლები, შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელშიც გათვალისწინებულია საკრედიტო კომიტეტების შექმნა. კომიტეტს ევალება წარმოადგინოს სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების შეფასება და მათი მისაღებ დონემდე დაყვანა. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს სასესხო განაცხადის განხილვის და დამტკიცების პროცედურებს, მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასებას, უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას, საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მონიტორინგის პროცედურებს. საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსების შესახებ. კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი. კომპანიის პოლიტიკით დადგენილ ლიმიტს ზემოთ არსებული სასესხო განაცხადები დასამტკიცებლად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე მისი გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. სესხების რეგულარული მონიტორინგი ხორციელდება მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ.

საკრედიტო რისკების კონტროლი ასევე ნაწილობრივ ხორციელდება გიროსა და თავდებობის მეშვეობით.

კომპანია გაცემული სესხებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. გაუფასურების ანარიცხისთვის კომპანია აკეთებს გაცემული სესხების ვადაგადაცილების ანალიზს. გაცემული სესხების ვადაგადაცილებასა და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოცემულია მე-13 და 24-ე შენიშვნაში.

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 23-ე განმარტებითი შენიშვნა.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, გარდა ნაღდი ფულისა წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეებს წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემული კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დაფუძნებულია დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8,291,066	2,526,037	10,817,103
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	24,908		24,908
სხვა ვალდებულებები	26,069	-	26,069
	8,342,043	2,526,037	10,868,080

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7,473,146	536,236	8,009,382
სხვა ვალდებულებები	49,786	-	49,786
	7,522,932	536,236	8,009,382

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანია სავალუტო რისკების მართვას ახორციელებს სავალუტო კონტრაქტების საშუალებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა ღია სავალუტო სვოპ (ლარი/აშშ დოლარი) კონტრაქტებს 1,300 ათასი დოლარის ნომინალური ღირებულების ოდენობით, რომელიც გაფორმებული ჰქონდა სს საქართველოს ბანკთან (შენიშვნა 15).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა ღია სავალუტო სვოპ (ლარი/აშშ დოლარი) კონტრაქტებს 500 ათასი დოლარის ნომინალური ღირებულების ოდენობით, რომელიც გაფორმებული ჰქონდა სს საქართველოს ბანკთან (შენიშვნა 15).

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>ლარი</u>	<u>დოლარი</u>	<u>სხვა ვალუტები</u>	<u>სულ</u>
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	9,171,289	1,740,270	-	10,911,559
ფული და ფულის ეკვივალენტები	680,409	1,602,775	476,263	2,759,447
სხვა ფინანსური აქტივები	28,774	-	-	28,774
	9,880,472	3,343,045	476,263	13,699,780
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	6,388,828	4,428,275	-	10,817,103
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	24,908	-	24,908
სხვა ვალდებულებები	26,069	-	-	26,069
	6,414,897	4,453,183	-	10,868,080
ღია საბალანსო პოზიცია	3,465,575	(1,110,138)	476,263	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>ლარი</u>	<u>დოლარი</u>	<u>სხვა ვალუტები</u>	<u>სულ</u>
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	4,886,742	3,470,168	-	8,356,910
ფული და ფულის ეკვივალენტები	469,816	1,384,593	326,913	2,181,322
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	5,037	-	5,037
სხვა ფინანსური აქტივები	18,353	-	-	18,353
	5,374,911	4,859,798	326,913	10,561,622
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,346,038	3,663,344	-	8,009,382
სხვა ვალდებულებები	49,786	-	-	49,786
	4,395,824	3,663,344	-	8,059,168
ღია საბალანსო პოზიცია	979,087	1,196,454	326,913	

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძობელობას აშშ დოლარის, ევროს და გირვანქა სტერლინგის ლართან მიმართებაში 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე გადაფასების ეფექტი შემდეგია:

ვალუტის კურსის მგრძობელობა	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	+20%	-20%	+20%	-20%
დოლარის ეფექტი	(222,028)	222,028	239,291	(239,291)
ევროს ეფექტი	484	(484)	41,022	(41,022)
სხვა ვალუტების ეფექტი	94,769	(94,769)	24,361	(24,361)
	(126,775)	126,775	304,674	(304,674)

5. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,029,276	896,942
უმრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	689,509	413,991
არაუზრუნველყოფილი სესხები	519,234	411,966
ავტომატურად უზრუნველყოფილი სესხები	203,992	168,133
	2,442,011	1,891,032

6. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ბანკებისგან მიღებული სესხები	(746,638)	(644,345)
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	(322,232)	(22,407)
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	(72,365)	(314,230)
	(1,141,235)	(980,982)

ბანკისაგან მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 12%-14%-მდე, ფიზიკური პირებისგან - 9%-15%-მდე, ხოლო იურიდიულ პირებზე კი შეადგენს 12%-ს.

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ვალუტის ვაჭრობით მიღებული მოგება	862,360	492,179
მიღებული ჯარიმები	265,171	325,810
სხვა	57,859	54,227
	1,185,390	872,216

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

8. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ძირითადი ხელფასი	(747,222)	(513,849)
პრემიები	(53,348)	(23,109)
	(800,570)	(536,958)

9. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
იჯარა	(115,128)	(45,264)
ოფისის ხარჯები	(112,498)	(95,192)
პროფესიული მომსახურება*	(108,268)	(22,425)
რეკლამის და გაყიდვების ხარჯები	(47,263)	(6,586)
გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(37,829)	(31,924)
საკომისიო	(31,020)	(61,590)
კომუნალური გადასახადები	(27,599)	(23,709)
საკომუნიკაციო ხარჯები	(20,567)	(12,732)
ჯარიმები და საურავები	(81)	(59,800)
სხვა	(71,729)	(32,033)
	(571,982)	(391,255)

*2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების ღირებულება შეადგენს 25,370 და 11,000 ლარს, შესაბამისად.

10. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,910	36,276
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(100,142)	136,178
	(95,232)	172,454

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

ეფექტური მოგების გადასახადის განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმისგან. მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია საკანონმდებლო და ფაქტიური განაკვეთის მიხედვით არის შემდეგი:

	2018	2017
მოგება დაბეგრამდე	646,220	873,783
მოგების გადასახადის საკანონმდებლო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი საკანონმდებლო განაკვეთით	(96,933)	(131,067)
საგადასახადო მიზნით გამოუქვითავი ხარჯი ან დაუბეგრავი შემოსავალი	23,952	(24,167)
მოგების გადასახადის ხარჯი	(72,981)	(155,234)

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	(126,144)	(169,095)
გადავადებული მოგების გადასახადი	53,163	13,861
	(72,981)	(155,234)

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31.12.2017	ცვლილება მოგება-ზარალში	ცვლილება კაპიტალში	31.12.2018
გამოსაქვითი დროებითი სხვაობები				
მიღებული სესხები	15,442	(5,225)	-	10,217
გაცემული სესხები	(208)	47,014	15,626	62,432
სხვა აქტივები	-	8,434	-	8,434
სხვა ვალდებულებები	5,624	(5,624)	-	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, გროსი	20,858	44,599	15,626	81,083
დასაბეგრი დროებითი სხვაობები				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(27,340)	8,564	-	(18,776)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, გროსი	(27,548)	8,564	-	(18,776)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, ნეტო	(6,482)	53,163	15,626	62,307

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31.12.2016	ცვლილება მოგება- ზარალში	31.12.2017
გამოსაქვითი დროებითი სხვაობები			
მიღებული სესხები	3,130	12,312	15,442
სხვა ვალდებულებები	2,002	3,622	5,624
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, გროსი	5,132	15,934	21,066
დასაბეგრი დროებითი სხვაობები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(25,475)	(1,865)	(27,340)
გაცემული სესხები	-	(208)	(208)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, გროსი	(25,475)	(2,073)	(27,548)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, ნეტო	(20,343)	13,861	(6,482)

გადავადებული საგადასახადო აქტივის/(ვალდებულების) რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
1 იანვარი	(6,482)	(20,343)
ცვლილებები გამოწვეული ფასს 9-ის დანერგვით	15,626	-
1 იანვარი, ფასს 9-ის ცვლილებების შემდეგ	9,144	(20,343)
აღიარებული მოგებში ან ზარალში		
საგადასახადო სარგებელი	53,163	13,861
31 დეკემბერი	62,307	(6,482)

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	1,140,596	293,901	145,915	11,822	1,592,234
შემოსვლა	1,866	43,751	73,524	922	120,063
2017 წლის 31 დეკემბერი	1,142,462	337,652	219,439	12,744	1,712,297
შემოსვლა	-	29,776	-	51,036	80,812
2018 წლის 31 დეკემბერი	1,142,462	367,428	219,439	63,780	1,793,109
დაგროვილი ცვეთა					
2016 წლის 31 დეკემბერი	(55,078)	(85,946)	(20,844)	(3,114)	(164,982)
ცვეთა	(23,330)	(45,462)	(31,348)	(2,075)	(102,215)
2017 წლის 31 დეკემბერი	(78,408)	(131,408)	(52,192)	(5,189)	(267,197)
ცვეთა	(23,410)	(37,381)	(31,456)	(20,618)	(112,865)
2018 წლის 31 დეკემბერი	(101,818)	(168,789)	(83,648)	(25,807)	(380,062)
საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბერი	1,064,054	206,244	167,247	7,555	1,445,100
2018 წლის 31 დეკემბერი	1,040,644	198,639	135,791	37,973	1,413,047

ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული საოფისე ფართებით სადაც განლაგებულია კომპანიის ფილიალები, ასევე გელა გუგუმბერიძისა და ლიანა ლექვთაძის (კომპანიის დამფუძნებლის ოჯახის წევრები) საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართებით.

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,009 და 5,158 ლარს, შესაბამისად.

13. გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ძირი	11,118,188	8,399,995
პროცენტი	214,500	139,553
მინუს: გაუფასურების ანარიცხი	(421,129)	(182,638)
	10,911,559	8,356,910

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხები სახეობების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	5,521,777	(100,854)	(32,625)	(125,208)	(258,687)	5,263,090	4.68%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3,762,729	(9,136)	(1,679)	(29,169)	(39,984)	3,722,745	1.06%
არაუზრუნველყოფილი სესხები	1,317,863	(1,300)	(3,704)	(114,296)	(119,300)	1,198,563	9.05%
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	730,319	(3,158)	-	-	(3,158)	727,161	0.43%
	11,332,688	(114,448)	(38,008)	(268,673)	(421,129)	10,900,646	3.81%

ინფორმაცია ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
-არა ვადაგადაცილებული	4,617,981	(78,263)	4,539,718	1.69%
-30 დღე ვადაგადაცილება	342,772	(22,590)	320,182	6.59%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	100,771	(13,780)	86,991	13.67%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	87,224	(18,845)	68,379	21.61%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	373,029	(125,209)	247,820	33.57%
	5,521,777	(258,687)	5,263,090	4.68%

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
-არა ვადაგადაცილებული	3,391,314	(6,704)	3,384,610	0.20%
-30 დღე ვადაგადაცილება	249,419	(2,431)	246,988	0.97%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	16,098	(386)	15,712	2.40%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	17,776	(1,293)	16,483	7.27%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	88,122	(29,170)	58,952	33.10%
	3,762,729	(39,984)	3,722,745	1.06%

ინფორმაცია ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
-არა ვადაგადაცილებული	719,560	(3,038)	716,522	0.42%
-30 დღე ვადაგადაცილება	10,759	(120)	10,639	1.12%
	730,319	(3,158)	727,161	0.43%

ინფორმაცია არაუზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
-არა ვადაგადაცილებული	1,061,986	(984)	1,061,002	0.09%
-30 დღე ვადაგადაცილება	35,530	(316)	35,214	0.89%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	26,614	(1,320)	25,294	4.96%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	17,219	(2,385)	14,834	13.85%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	176,514	(114,295)	62,219	64.75%
	1,317,863	(119,300)	1,198,563	9.05%

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
უზრუნველყოფილი სესხები	10,014,825	(301,829)	9,712,996	3.01%
არაუზრუნველყოფილი სესხები	1,317,863	(119,300)	1,198,563	9.05%
	11,332,688	(421,129)	10,911,559	3.72%

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
2018 წლის 1 იანვარი (ბასს 39-ის მიხედვით)	-	-	-	182,638
ცვლილებები გამოწვეული ფასს 9-ის დანერგვით	-	-	-	104,172
2018 წლის 1 იანვარი (ფასს 9-ის მიხედვით)	86,459	33,456	166,895	286,810
ახალი გაცემული სესხები	94,761	-	-	94,761
გადატანა პირველ ეტაპზე	31,242	(22,555)	(8,687)	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(222,536)	229,993	(7,457)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(410,643)	410,643	-
დაფარული სესხები	(79,120)	(26,461)	(153,925)	(259,506)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(42,608)	(42,608)
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	203,640	234,219	(96,187)	341,672
2018 წლის 31 დეკემბერი	114,446	38,009	268,674	421,129

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების მთლიან თანხებში ცვლილება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
2018 წლის 1 იანვარი (ბასს 39-ის მიხედვით)	-	-	-	8,539,548
2018 წლის 1 იანვარი (ფასს 9-ის მიხედვით)	7,894,665	250,315	394,568	8,539,548
ახალი გაცემული სესხები	15,795,364	-	-	15,795,364
გადატანა პირველ ეტაპზე	1,407,980	(862,784)	(545,196)	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(1,957,893)	1,994,417	(36,524)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(891,093)	891,093	-
დაფარული სესხები	(12,710,795)	(225,153)	(23,668)	(12,959,616)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(42,608)	(42,608)
2018 წლის 31 დეკემბერი	10,429,321	265,702	637,665	11,332,688

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ძირითადი ფაქტორები, რომელსაც კომპანია ითვალისწინებს გაცემული სესხების გაუფასურებაში არის ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა, რომლის შეფასება ხორციელდება წარსული გამოცდილების საფუძველზე და მოსალოდნელ დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან. გაცემული სესხების გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 24-ე განმარტებით შენიშვნაში.

ფასს 9-ის მიღებამდე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	4,865,872
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,799,707
არაუზრუნველყოფილი სესხები	1,434,939
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	439,030
სულ გაუფასურებამდე	8,539,548
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(182,638)
წმინდა გაცემული სესხები	8,356,910

ცვლილებები სესხის გაუფასურების რეზერვში 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	2017
1 იანვარი	(213,632)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	(55,546)
უიმედო ვალების ჩამოწერა	86,540
31 დეკემბერი	(182,638)

საექვო ვალების რეზერვის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	(83,007)
არაუზრუნველყოფილი სესხები	(60,582)
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	(34,757)
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	(4,292)
	(182,638)

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017
მიმდინარე სესხები	7,024,586
სესხები 30-დღემდე ვადაგადაცილებით	359,960
სესხები 30-დან 59 დღემდე ვადაგადაცილებით	164,940
სესხები 60 დან-119 დღემდე ვადაგადაცილებით	251,690
სესხები 120 და მეტი დღით ვადაგადაცილებით	738,372
სულ გაუფასურებამდე	8,539,548
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(182,638)
გაცემული სესხები, წმინდა	8,356,910

გაცემული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დაფარვის ვადების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

14. სხვა აქტივები

სხვა აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სხვა მოთხოვნები	28,774	18,353
	28,774	18,353
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	20,364	25,563
მარაგები	688	560
	21,052	26,123
	49,826	44,476

15. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება უცხოური ვალუტის კონტრაქტებისგან, კერძოდ, კომპანიას დადებული აქვს სვოპ კონტრაქტები (ყიდვა - ლარი, გაყიდვა აშშ დოლარი) რათა მართოს სავალუტო რისკები. აღნიშნული კონტრაქტების ვადიანობა მოიცავს 1 წლამდე პერიოდს. იმ კონტრაქტების არარეალიზებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ დასრულებულა საანგარიშგებო წელში შესაბამისად აღიარდება მოგებაში ან ზარალში და რეალური ღირებულებით აღრიცხება ფინანსურ ინსტრუმენტებში მოგებაში ან ზარალში ასახვით. სვოპ კონტრაქტებიდან აღიარებულმა წმინდა ზარალმა/(მოგებამ) 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგინა 82,373 და 5,037 ლარი, შესაბამისად.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით არ არის გადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

16. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 10 აგვისტოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა საწესდებო კაპიტალის ზრდა 248,917 ლარით, შესაბამისად, კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 500,000 ლარი. კაპიტალის შევსება განხორციელდა ფულადი შენატანის სახით.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფული სალაროში	1,381,343	1,580,573
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1,378,104	600,749
	2,759,447	2,181,322

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

18. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ძირი	10,687,502	7,885,946
პროცენტი	129,601	123,436
	10,817,103	8,009,382

გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
კომერციული ბანკები	652,417	147,406
ფიზიკური პირები	1,873,620	-
იურიდიული პირები	-	388,830
	2,526,037	536,236

მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
კომერციული ბანკები	5,686,071	4,626,592
ფიზიკური პირები	2,195,717	2,442,640
იურიდიული პირები	409,278	403,914
	8,291,066	7,473,146

მიღებული სესხის რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	გრძელვადიანი	სულ
2018 წლის 1 იანვარი	7,473,146	536,236	8,009,382
მონეტარული ცვლილებები	(1,103,129)	2,610,233	1,507,104
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(100,635)	260,016	159,381
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	880,448	(880,448)	-
დარიცხული პროცენტი	1,141,236	-	1,141,236
2018 წლის 31 დეკემბერი	8,291,066	2,526,037	10,817,103

მიღებული სესხის რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	გრძელვადიანი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	4,538,673	1,907,386	6,446,059
მონეტარული ცვლილებები	(22,585)	783,180	760,595
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(166,754)	(11,500)	(178,254)
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	2,142,830	(2,142,830)	-
დარიცხული პროცენტი	980,982	-	980,982
2017 წლის 31 დეკემბერი	7,473,146	536,236	8,009,382

ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-12 განმარტებით შენიშვნაში. ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები არის არაუზრუნველყოფილი.

მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დაფარვის ვადების და ვალუტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს მომწოდებლების მიმართ არსებულ დავალიანებებს 26,069 და 49,786 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დაფარვის ვადების და ვალუტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

20. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე - 44,818 და 155,499 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო ვალდებულება.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

21. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
მიღებული სესხები	1,374,880	1,873,620	158,060	10,817,103

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
მიღებული სესხები	498,476	1,036,880	90,209	8,009,382

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საპროცენტო ხარჯი	(99,635)	(131,920)	(14,259)	(1,141,235)
პერსონალის ხარჯები	(30,985)	-	-	(800,570)

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საპროცენტო ხარჯი	(104,111)	(105,743)	(7,874)	(980,982)
პერსონალის ხარჯები	(24,120)	-	-	(536,958)

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცვლილებები კანონმდებლობაში - 2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალურ მსესხებელზე გაცემული მიკროკრედიტი არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს (ცვლილებამდე შეზღუდვა იყო 50,000 ლარი);
- რეგისტრაციის თარიღისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ავტორიზებული კაპიტალი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები (ცვლილებამდე შეზღუდვა იყო 250,000 ლარი). უკვე არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ავტორიზებული კაპიტალი უნდა შეივსოს 2019 წლის 1 ივლისისთვის, შემდეგი სქემით:
 - 2018 წლის 1 სექტემბრისთვის არა ნაკლებ 500,000 ლარისა;
 - 2019 წლის 1 ივლისისთვის არა ნაკლებ 1,000,000 ლარისა (განმარტებითი შენიშვნა 23);

ავტორიზებული კაპიტალი უნდა შეივსოს მხოლოდ ფულადი შენატანებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები - 2018 წლის 5 ივლისს სებ-ის პრეზიდენტმა დაამტკიცა რეგულაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კომპანია სრულად აკმაყოფილებს სებ-ის რეგულაციებს, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე და შეიძლება განსხვავდებოდეს მარეგულირებლის მსჯელობისაგან.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, 2019 წლის 23 ივლისს კომპანიის დამფუძნებლის მიერ მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა 500,000 ლარის ოდენობით, რის შედეგადაც ავტორიზებულმა კაპიტალმა შეადგინა 1,000,000 ლარი.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

24.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა - ლარი).

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2018	31.12.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

24.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ დანერგვა

კომპანიამ დანერგა ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ 2018 წლის 1 იანვარიდან. ახალი სტანდარტი აისახა ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკასა და წინა პერიოდებში აღიარებული თანხების კორექტირებებში. კომპანიას ნაადრევად არ მიუღია ფასს 9-ით გათვალისწინებული რომელიმე ცვლილება.

კომპანიამ აირჩია ფასს 9-ის გათავისუფლება - არ შეეცვალა შესადარისი პერიოდი, საწყისი აღიარებისას.

სტანდარტზე გადასვლის თარიღში განხორციელებული ნებისმიერი კორექტირება, რომელიც შეეხო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს აღიარდა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთზე და მოცემულია მე-11 და მე-13 განმარტებით შენიშვნებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფასს 7-ის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებით აისახა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე. ბასს 39-ით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მოცემულია გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 9-ის დანერგვა აისახა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, ასევე ფინანსური აქტივების გაუფასურების სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებაში. ფასს 9 იყენებს ბასს 39-ში მოცემული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ში მოცემულ „გაწეული ზარალის“ (CL) მოდელს ანაცვლებს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე გამოიყენება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, და არა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისთვის.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემული სესხებით, ფული და ფულის ეკვივალენტებით, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებით ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან ან სესხების გაცემიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

„რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“

ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობის პროცესში კომპანია აფორმებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კონტრაქტებს - სავალუტო სვოპი, რომლის მიზანი არის სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვა. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარებულია ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარების პოლიტიკის შესაბამისად და შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით. ყველა სავაჭრო წარმოებული ინსტრუმენტი აღიარებულია აქტივად როდესაც მათი რეალური ღირებულება დადებითია და - ვალდებულებად როდესაც რეალური ღირებულება უარყოფითია. კომპანია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა ღია სვოპ გარიგებებს. ამ ინსტრუმენტების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნა 15).

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას კომპანიამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულებით ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ კომპანიამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. აღნიშნული ტესტი (SPPI) ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითადი თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების და დანახარჯების კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება რეალური ღირებულებით ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის გამოყენებამ შეცვალა კომპანიის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებით, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი“ (CL) ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის გაანგარიშებას კომპანიის ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით, ასევე, რეალური ღირებულებით ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შემენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

კომპანია ჯგუფურად აფასებს გაცემული სესხების პორთფელის გაუფასურებას. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, ისინი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება ეფუძნება 3-ეტაპიან მიდგომას, მათი წარმოქმნის ან შექმნის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე. ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე პირველი ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის ალბათობის 100 %-ით.

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადაინაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
ავტომობილი	0-30	31-90	>90
ძვირფასი ლითონები	0-30	31-90	>90
არაუზრუნველყოფილი	0-30	31-90	>90

კომპანია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის, ან თანამსესხებლის მიმართ სარჩელის აღძვრა;
- მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
- მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
- იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე და მათი დაბრუნება სხვა ეტაპებზე აღარ ხდება.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა;
- ბიზნესის გაკოტრება ან ლიკვიდაცია (ეხება ბიზნეს სესხებს).

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნასთან - 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ. კომპანია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს: რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე; ასევე მომავლის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

კომპანიის შეფასებით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

საპროგნოზო ინფორმაცია

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის საკრედიტო გაუფასურების წარსულ გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია ოპერირებს.

კომპანია ბოლო 4 წლის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აფასებს დეფოლტის ალბათობის კორელაციას მაკროეკონომიკურ ცვლადებთან (მშპ-ს ზრდა, ინფლაცია) მიმართებაში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას ითვალისწინებს კონკრეტული მაკროეკონომიკური ცვლადის სცენარების შესახებ არსებულ საპროგნოზო ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან კორელაცია არის 0.5-ზე მეტი და - 0.5-ზე ნაკლები, შესაბამისად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად გამოყენებული მაჩვენებლები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD)
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ნახლდება როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარეცხის კალკულაცია.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობა (PD)

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით. დეფოლტის ალბათობის შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის და გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის ერთი დიაპაზონიდან მეორეში გადასვლების ალბათობას. მიგრაციის მატრიცა იყოფა შემდეგ კალათებად:

ვადაგადაცილებული დღეები	ეტაპი
დახურული	
0	I
1-30	I
31-60	II
61-90	II
>90	III

კომპანიას აქვს რესტრუქტურირებული სესხების (კომპანიასა და მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და არსებული სესხისთვის ხდება ახალი გრაფიკის აგება) მცირე რაოდენობა, ამიტომ რესტრუქტურირების სტატუსის გათვალისწინება არ ხდება მიგრაციის მატრიცაში.

კომპანიის მიერ გაცემულ სესხს დეფოლტის შემთხვევაში უპირობოდ ენიჭება 100%-იანი ალბათობა.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება წარსულ პერიოდში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდიხები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

დეფოლტის რისკის პოზიცია წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

24. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, კომპანია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სხვა ვალდებულებებს, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სავალუტო სვოპ კონტრაქტებიდან წარმოქმნილ დერივატივულ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიანეთისთვის.

24.3 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

24.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითად საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	50
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	2-7
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა	7-10
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში - მათი ცვლილება.

ძირითდი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

24.5 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას.

თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

24.6 დაბეგრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გასაანგარიშებლად გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, როგორც წესი, ხდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება, ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემთხვევაში იმ მოცულობით, რამდენადაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გაიქვითება ეს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს ვალდებულებების გასტუმრების ან აქტივის რეალიზაციის პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (და საგადასახადო კანონების) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის მიმდინარე ეფექტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადავადებული გადასახადის აღიარებაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

24.7 სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

23.1 ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

24.8 საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მსესხებლისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

24.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

24.10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

24.11 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

შინაარსი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	46
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა	48
კომპანიის ფილიალები	49
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	52
განვითარების გეგმები	52
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	52
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	52
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	53
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	53

შპს „მისო გირო კრედიტი“


მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის ისტორია და საქმიანობა

კომპანია გირო კრედიტი დაარსდა 2010 წლის ოქტომბერში, 2011 წლის დეკემბერში მას მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი. თავდაპირველად კომპანია მომხმარებელს თავაზობდა სალომბარდე ტიპის სესხებს და ვალუტის გადაცვლის სერვისებს, ხოლო 2016 წლის სექტემბერში გირო კრედიტმა დაწერა ბიზნეს სესხების პროდუქტი.



გირო კრედიტის ყველა ფილიალში კლიენტებს შეუძლიათ იყიდონ ან გაყიდონ შემდეგი ვალუტები:




USD	აშშ დოლარი
GBP	გირვანქა სტერლინგი
EUR	ევრო

TRY	თურქული ლირა
RUB	რუსული რუბლი
AZN	აზერბაიჯანული მანათი


შპს „მისო გირო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის



კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



კომპანიის ფილიალები

კომპანიამ მოღვაწეობა დაიწყო ერთი ფილიალით, ხოლო ამჟამად ოპერირებს ექვსი ფილიალის საშუალებით. ყველა ფილიალი მდებარეობს თბილისში და მუშაობს 24/7 რეჟიმით. აღსანიშნავია რომ გირო კრედიტმა მეექვსე ფილიალი გახსნა 2019 წლის მაისში. კომპანიის მომავალი სტრატეგიული გეგმის ნაწილია რეგიონალური გაფართოება, შესაბამისად, შემდეგი ფილიალების გახსნა იგეგმება რეგიონში.

ფილიალები მდებარეობს ქ.თბილისში შემდეგ მისამართებზე:

- ალ.ყაზბეგის გამზირი N 19ა
- ალ.ყაზბეგის გამზირი N 31
- ხიზანიშვილის ქ. N19
- პეკინის გამზირი N 3
- ც.დადიანის ქ. N 195
- 17 შინდისელი გმირის N20

გირო კრედიტის ყველა ფილიალში კლიენტებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სასესხო პროდუქტები:


- ავტო სესხი
- იპოთეკური სესხი
- ბიზნეს სესხი
- მკირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხი

შპს „მისო გირო კრედიტი“


მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის მოცულობა (გაუფასურების გაუთვალისწინებლად) ფილიალების მიხედვით ("000" ლარი):



2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის მოცულობა ფილიალების მიხედვით ("000" ლარი):




შპს „მისო გირო კრედიტი“


მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

2018 წლის ბოლოს აქტიური (სესხის მიმღები) კლიენტების რაოდენობა ფილიალების მიხედვით:



2017 წლის ბოლოს აქტიური (სესხის მიმღები) კლიენტების რაოდენობა ფილიალების მიხედვით:



შპს „მისო გირო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ორგანიზაცია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

ლარი "000"	2016	2017	2018
სასესხო პორტფელი	7,466	8,357	10,912
მთლიანი საოპერაციო შემოსავლები	2,464	2,763	3,627
მთლიანი კაპიტალი	3,324	3,812	4,283
სუფთა მოგება	1,151	719	573
საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი*	8.5%	13.0%	15.4%
ROA*	12.9%	6.6%	4.2%
ROE**	41.9%	20.2%	14.2%

*ROA = წმინდა მოგება/საშუალო აქტივები,

**ROE = წმინდა მოგება/საშუალო კაპიტალი

ორგანიზაციის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2018	2017	2016
თანამშრომლების რაოდენობა	60	45	32
აქტიური მსესხებლების რაოდენობა	4,434	3 830	3 096

გირო კრედიტის პორტფელიც და საოპერაციო შემოსავლებიც იზრდებოდა 2017 და 2018 წლის განმავლობაში, მაგრამ შემცირდა წმინდა მოგება, რაც გამოწვეული იყო საოპერაციო ხარჯების ზრდით. რადგან კომპანია ზრდის პროცესშია, 2017-2018 წლებში მოხდა ბევრი ახალი პოზიციის დამატება, რამაც განაპირობა საოპერაციო ხარჯების ზრდა.

კომპანიის მოლოდინია რომ 2019 წელს მისი მოგება გაიზრდება 2018 წელთან შედარებით. მოგების ზრდა განპირობებულია 2019 წლის განმავლობაში სასესხო პორტფელის გაზრდით.

გირო კრედიტმა 2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად გაზარდა საწესდებო კაპიტალი, რის შედეგადაც ავტორიზებულმა კაპიტალმა შეადგინა 1 მილიონი ლარი.

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსებას, საკუთარი სახსრების გარდა გირო კრედიტი აფინანსებდა თავის საქმიანობას ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან და ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრებით. აღსანიშნავია, გირო კრედიტს მოზიდული აქვს სახსრები საერთაშორისო ფონდისგან.

განვითარების გეგმები

შპს „მისო გირო კრედიტი“ ზრდაზე ორიენტირებული კომპანიაა. მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები მოიცავს, ფილიალების დამატებას როგორც თბილისში ისე რეგიონებში და ახალი პროდუქტების დანერგვას.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შექმნის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შექმნა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანია თავის საქმიანობის პროცესში დგას შემდეგი რისკების წინაშე.

საკრედიტო რისკი: რისკი რომ კლიენტები ვერ შეძლებენ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას გაცემულ სესხებთან მიმართებაში. კომპანიის სასესხო პორტფელის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს უზრუნველყოფილ სესხებს. არაუზრუნველყოფილი სესხების სეგმენტში ხვდება, ბიზნეს სესხების გარკვეული ნაწილი რომლებიც გაცემულია ბიზნესის ფულის გენერირების პოტენციალის გათვალისწინებით. კომპანიის გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა რომელიც განსაზღვრავს სესხის გაცემის პროცედურას, და სესხის მონიტორინგის პროცედურას. პროცედურებში თავის მხრივ განსაზღვრულია ისეთი საკითხები როგორც არის სესხების ლიმიტები, სესხების რესტრუქტურისა და რეფინანსირების წესები, და საკრედიტო კომიტეტის მუშაობის პრინციპები. ასევე აღსანიშნავია რომ კომპანიამ 2018 წელში დანერგა ფასს 9, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სესხების გაუფასურების პოლიტიკაზე.

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (13).

საოპერაციო რისკი: გულისხმობს პოტენციურ დანაკარგებს რომლებიც გამომდინარეობს შიდა კონტროლის სისტემის არქონის, არასაკმარისი ან დაბალი კადრების კვალიფიკაციით, საადრიცხოვო და საოპერაციო სისტემების არაადეკვატურობით, ადამიანური დაუდევრობით, შეცდომებით და თაღლითობით. გირო კრედიტი მუდმივად აუმჯობესებს შიდა კონტრილოს სისტემას. რაც გამოიხატება პოლიტიკის და პროცედურების გაუმჯობესებაში და კომპანიის მიმდინარე მოთხოვნილებებზე მორგებაში. ხოლო თავის მხრივ შიდა აუდიტის სამსახური ამოწმებს თუ რამდენად არის დაცული პროცედურებით განსაზღვრული ქმედებები. აღსანიშნავია რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საოპერაციო და საადრიცხოვო სისტემის გამართულობას. მუდმივად ხდება სისტემის დახვეწა, ახალი ფინქციონალების დამატება და ავტომატიზაცია.

სავალუტო რისკი: გულისხმობს აქტივების ან/და შემოსავლების გაუფასურებას რომელიც გამოწვეულია ვალუტის კურსის ცვლილებით. ვალუტის გადაფასების რისკი რელევანტური ხდება იმ შემთხვევაში როდესაც კომპანია სესხულობს ერთ ვალუტაში და გასცემს სესხებს სხვა ვალუტაში. კომპანია გამუდმებით აკონტროლებს სავალუტო გახსნილ პოზიციებს, ცდილობს დაამთხვიოს აქტივები და პასივების სტრუქტურა და მინიმუმამდე დაიყვანოს გახსნილი პოზიციები. კომპანია იყენებს სავალუტო სვოპ კონტრაქტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (4).

ლიკვიდურობის რისკი: არის რისკი რომ კომპანია ვერ შეძლებს მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრებას. გირო კრედიტს თავისი ოპერაციების სპეციფიკიდან გამომდინარე გააჩნია ნაღდი ფულის მაღალი ნაშთები (მთლიანი აქტივების 18%). საჭიროების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია ეს თანხები გამოიყენოს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. კომპანიას აქვს წვდომა საკრედიტო ხაზებზე და შეუძლია დამატებითი სახსრების სესხება საჭიროების შემთხვევაში. ასევე, ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს მოსალოდნელი შემოდინებების და გაგინების ანალიზს. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (4).

შპს „მისო გირო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

დაფინანსების რისკი: გულისხმობს რომ კომპანია ვერ შეძლებს საკმარისი ფონდების მოძიებას დაგეგმილი ზრდის დასაფინანსებლად. ამ რისკის მინიმიზაციისთვის კომპანია ცდილობს მოახდინოს პოტენციური წყაროების დივერსიფიკაცია. კერძოდ, გირო კრედიტის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა საერთაშორისო ფონდირებაზე წვდომის მოპოვება.

ლარის გაუფასურება: ლარის გაუფასურება რომელიც დაიწყო 2014 წლის ოქტომბერში ნეგატიურ გავლენას ახდენს მთლიან ბიზნეს აქტივობაზე. ბიზნეს აქტივობის შემცირება თავის მხრივ ამცირებს სესხებზე მოთხოვნას და ზრდის სესხებზე ვადაგადაცილების ალბათობას. ეს არის მაკროეკონომიკური რისკი რომელიც ნეგატიურ მოქმედებს მთლიან ეკონომიკაზე. შესაბამისად, ამ რისკის ბოლომდე განეიტრალება შეუძლებელია. გირო კრედიტის პოლიტიკის მიხედვით აქტივების გარკვეული ნაწილი უნდა იყოს უცხოურ ვალუტაში.

კონკურენცია: ადგილობრივი მიკროსაფინანსო ბაზრი იმყოფება სიმწიფის ფაზაში, რაც ნიშნავს რომ კონკურენცია საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, ზრდის პოტენციალი არის შეზღუდული. ასევე, აღსანიშნავია რომ ბაზრის ფაზაც და ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები უბიძგებენ ბაზარს კონსოლიდაციისკენ. გირო კრედიტის შიდა სისტემის გამართულობა და ფინანსური სიმძლიერე არის ფაქტორები, რომელთა საშუალებითაც კომპანია აპირებს თავისი სტრატეგიული ამოცანების მიღწევას.

საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2018 წელს შემოიღო რიგი ახალი რეგულაციების. მათ შორის აღსანიშნავია, რეგულაცია რომელიც ავალდებულებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გარკვეული კოეფიციენტების დაცვას. რეგულაცია ძალაში შევიდა 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან. გირო კრედიტისთვის რელევანტურია შემდეგი კოეფიციენტები, (1) კაპიტალის კოეფიციენტი, (2) ლიკვიდურობის კოეფიციენტი, (3) ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი, (4) დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებმა 2018 წლის განმავლობაში არ მოუხდენია ნეგატიური გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 7 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. გუგუშვირიძე